



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 88  
28/12/2015

88-06-4-201512281709



### ბრძანება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა პრემირების შესახებ 2015 წლის 25 დეკემბრის N85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა პრემირების შესახებ „2015 წლის 25 დეკემბრის N 85 ბრძანებაში.  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიის სახით გაიცეს შრომითი გასამრჯელოს თანამდებობრივ სარგოსთან შემდეგი პროცენტული მიმართებით და ოდენობით: - შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 100 %-ით; ეკატერინე აბაშმაძეს - ექსპერტ კონსულტანტს და მაია ნარსიას -მდივანს;
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს აღნიშნული პრემიის გაცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საქონელისა და მომსახურების მუხლიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ. #14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

